სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 01-110101

ქ. თბილისი

LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2019.11.01 11:26:00 +04'00'

01.11.2019 წელი

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (ს/კ 412670097), წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე გალდავას სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ (ს/კ418471068), წარმოდგენილი დირექტორის ბაჩანა გვიანიშვილის სახით, „გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №34 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი პარკირების ადგილებით 1 (ერთი) წლის ვადით სარგებლობის უფლების მოპოვება (CPV კოდი: 63700000 - სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებები; 63712400 - ავტოსადგომთა მომსახურებები).

1.2 პარკირების უფლება წარმოიშობა შემსყიდველის მიერ პარკირების საფასურის გადახდის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის (გადახდის მომენტიდან, სარგებლობის უფლების ვადის ამოწურვამდე) განმავლობაში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 360,00 (სამას სამოცი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

2.2 ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის პარკირების საფასური, შეადგენს 40,00 (ორმოცი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

2.3 პარკირების საფასურის გადახდა ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების წესით, ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ერთჯერადი გადახდით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

2.4 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის 3[1] და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მიმწოდებელი გათავისუფლებულია წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისგან.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;

3.2 "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

3.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) შემსყიდველის მიერ ,,მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე გაუწიოს პარკირების მომსახურება „შემსყიდველს", ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე;

ბ) უზრუნველყოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

გ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით ,,შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

4.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,"მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

4.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5.3 „შემსყიდველი" ვალდებულია 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

5.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6 ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

7 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია ელექტრონულად.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. N76ბ
ტელეფონი: 995 32 2919060
სს „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220101480, LBRTGE22
ა/ა N GE77LB0113123325230012
ს/კ 412670097

დირექტორი
ალექსანდრე ბაღდავა

Gori Municipality Improvement Agency
Digitally signed by Gori Municipality Improvement Agency
Date: 2019.11.01 10:12:03 +04'00'

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სააგენტო“
მისამართი: ცხინვალის
გზატკეცილი მე-2 კმ;
ტელეფონი: 599200808
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო
ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 750437499
საიდენტიფიკაციო კოდი: 418471068
ელ-ფოსტა: saagento.gori@gmail.com

დირექტორი
ბაჩანა გვიანიშვილი

დანართი N1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი	ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი
1	VOLKSWAGEN AMAROK	NXN-705	პიკაპი
2	MITSUBISHI L 200	FFI-437	პიკაპი
3	MITSUBISHI L 200	BVB-641	პიკაპი
4	MITSUBISHI L 200	UW-050-SC	პიკაპი
5	OPEL ASTRA	TPT-915	მსუბუქი
6	MITSUBISHI L 200	FFI-487	პიკაპი
7	FIAT DOBLO	FCF-119	მსუბუქი (ფურგონი)
8	HYUNDAI GETZ	UW-123-SC	მსუბუქი
9	OPEL ASTRA	UW-703-SC	მსუბუქი

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

დირექტორი
ეკატერინე ბალდაკა

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“

დირექტორი
ბაჩანა გვიანიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის **არ არსებობის** შესახებ

ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ერთწლიანი **პარკირების** მომსახურების შესყიდვა

მიმწოდებელი: ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო

2019 01. 11 N 01-110101 ხელშეკრულება

ქ. თბილისი

01. 11, 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ **ავტოსატრანსპორტო** საშუალებისათვის ერთწლიანი **პარკირების** მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპანიის დირექტორი:

ეკატერინე გალდავა

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი:

ლაშა ერქომაიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

ლევან ლატარია

სატრანსპორტო სამსახურის უფროსი:

ირაკლი დოლიძე

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მოწვეული სპეციალისტი:

სოფიო გავაშელიშვილი